ეროვნული ბიბლიოთეკა



" სიმართლის თქმითა არ ვშიშობთ, წახდეს თუ რამე წახდეს "

# საბა

დემოკრატ პედაგოგთა კავშირის ბეჭდვითი არაპერიოდული ორგანო №1

## საქართველოს დემოკრატ პედაგოგთა კავშირის მიმართვა მოსწავლე ახალგაზრდობისა და მასწავლებლებისადმი

### მ ი მ ა რ თ ვ ა

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ბოლო ხანს არნახულ აღმავლობას განიცდის, ამ მოვლენის ფონზე ერთის მხრივ სრულიად თვალნათელი წარსულის ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების რადიკალური გადაფასების ტენდენციები, მთელი ერის, ქართველი საზოგადოების ცხოვრებაში საერთო საკავშირო დემოკრატიული აპარატისა და ადმინისტრაციულ დიქტატს დაყრდნობილი კორუმპირებული მმართველობის დაუფარავი წინააღმდეგობა თავისუფლებისმოყვარე სულისკვეთების ჩახშობისა და რეაქციული, კომუნისტური იდეოლოგიის კოსმეტიკური "პერესტროიკის" მიმნდობი ადამიანების მასობრივი დამორჩილება. ამგვარი შეკვრული პოლიტიკა უპირველესად საბჭოურ სკოლაში ჰპოვებს დასაყრდენს კარიერისტ და მორჩილებაშეჩვეულ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. ჩერნენკოსეული "რეფორმის" და გორბაჩოვულ "ეროვნული სკოლის პროგრამების" შემუშავების მყვირალა კამპანიის ფონზე ჩვენი მოსწავლეები და მასწავლებლები ისევ რჩებიან ცკ-ის მრავალსაფეხურიანი დიქტატის ქვეშ, ისევ იდევნება თანამედროვე, პროგრესული პოზიციის მქონე ახალგაზრდობა.

საქართველოს "დემოკრატ პედაგოგთა კავშირი" აერთიანებს მოსწავლე ახალგაზრდობისა და განათლების მუშაკთა იმ ნაწილს, რომლისთვისაც ძვირფასია ჭეშმარიტად ეროვნული იდეალები, თავისუფლებისა და დემოკრატიის მარადიული ღირებულებანი, იღწვის თავისუფალი პროფკავშირების შექმნისათვის, ხელს უწყობს ეროვნულ-პოლიტიკურ გაერთიანებებთან სკოლის თანამშრომლობას, მოქმედების კოორდინაციას და დღევანდელ პოლიტიკურ-სოციალურ ვითარებაში მ ო გ ი წ ო დ ე ბ თ:

1. კომუნისტური რეჟიმის მიერ თავსმოხვეული საგნის - დაწყებითი სამხედრო მომზადების ბოიკოტისაკენ - მისი სასწავლო პროგრამიდან ამოღების მიზნით;
2. პიონერული, კომკავშირული და სკკპ პირველადი ორგანიზაციების არჩევნების ბოიკოტისაკენ - მათი სრული გაუქმების მიზნით;
3. საგანმანათლებლო დაწესებულებებში საარჩევნო-სააგიტაციო უბნების მოწყობის ბოიკოტისაკენ - - საბჭოური არჩევნების საერთო ბოიკოტისა და ეროვნული სათათბიროს არჩევნების ხელისშეწყობის მიზნით, რაც იქნება ჩვენი თანადგომის გამოხატულება იმ ოპოზიციური ძალებისადმი, რომელთა მიზანია საქართველოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენა.

ჩ ვ ე ნ თ ა ნ ა რ ს ღ მ ე რ თ ი !

საქართველოს "დემოკრატ პედაგოგთა კავშირის" სახელით
კარლო ბარდაველიძე ტელ. 37-07-56
გია გოდერძიშვილი ტელ. 95-57-27

"დემოკრატ პედაგოგთა კავშირის" ინიციატივით საქართველოს სკოლებში უკვე მიმდინარეობს მასწავლებელთა ხელმოწერა მიმართვაზე საქართველოს სსრ განათლების მინისტრისადმი დაწყებითი სამხედრო მომზადების სასწავლო პროგრამებიდან დაუყოვნებლივ ამოღების მოთხოვნით.

ხელმოწერები შეგიძლიათ წარმოადგინოთ დპკ-ის კლუბში /ი. ჭავჭავაძის 32 სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი/ ხუთშაბათს 3 საათზე და კვირას 10 საათზე.

"საქართველოს დემოკრატ პედაგოგთა კავშირმა" უკვე მოაწყო მასწავლებლებთან შეხვედრები თბილისში, თელავში, წითელწყაროში, გორში და გურჯაანში. უახლოეს მომავალში ვაპირებთ ბორჯომში, ასპინძაში და ახალციხეში შეხვედრების ჩატარებას.

## ნამუსაყვარი(?)

დასაბამიდან აქამომდე, ანუ მას შემდეგ, რაც ღმერთის ღვთაებრივმა ბაგეებს აღმოხდა "იყავნ ნათელი!", სიცოცხლე შთაბერა ჰაერსა(?) და უდაბურს(?), განაღვთოვა(?) ცა და დედამიწა, გაყო ნათელი და ბნელი, სამყარო [illegible]. მასში, როგორც კოსმიურ ორკესტრში, ხმათა შეთანასწორებაა, შეწყობაა, შენივთებაა(?)... ყოველივეს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი - მკაფიოდ და ზუსტად. აგრეთვე ერსაც - ღმერთმა ბედი განუჩინა და სამშობლო მიუჩინა. ზოგს პროგრესირება(?) მისცა, ზოგს - არა... ზოგს - მომთაბარეობა, ზოგს - მკვიდრობა... ზოგი ლეგენდარული წარსულით მოჰფინა(?), ზოგს - სამარის(?) კერძობა(?) ერგო...

და რაც აგრერიგად მოსასმენია(?) ჩვენთვის, სხვათათვისაც, ერს-რჩეულს რჩეულთა შორის, წიგნი მისცა და დაუგდო ქარში გზა სიცოცხლისაკენ.

ამ გზაზე სვლისას საქართველოს რომ ბიჭობით(?) შემუსრებოდა და ძალით, ეს ქვეშეგრძნეულად(?) იცოდა ერმა, მაგრამ "სოციალისტური მონარქიის" ჭანჭიკად თუ იქცეოდა და თავის სიცოცხლით (თუ არსებობით!) "ძალთა ახალ ისტორიულ ერთობას"(!) შეადგენდა, ალბათ, ვერც ქვეცნობიერი სადღეგრძელო(?) შეუძლებოდა(?) და ვერც ცხადლივ წარმოედგინა.

კანტი ერთგან წერს, რომ ადამიანის ბუნების სიძაბუნეა ის, რაც მოციქულის ჩივილში(?) გამოიხატა. პავლე მოციქული ამბობს: "...არ ვაკეთებ კეთილს, რომელიც მნებავს, არამედ ვაკეთებ ბოროტს, რომელიც არა მნებავს. ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არა მნებავს, მე კი აღარ ვაკეთებ, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემშია დამკვიდრებული".

"ცოდვა რომელიც ჩემშია დამკვიდრებული"... - უფიქრია კი ამაზე მას, ვინც ერთა შემოქმედის(?), ყალბად და მაინცდამაინც მერწყულის(?) იდეა ლომისა(?) კანონად გვითქვია(?)? ვინც "უფროსი ძმის" ინსტინქტი დაატარა და ახლაც ისე იცავს მას, როგორც ის მგელი თავის ლეკვებს! მგლის საქციელში კეთილშობილება მაინცაა: დედაა მგელი და მგლეებს(?) იცავს.

"ცოდვა, რომელიც ჩემშია დამკვიდრებული"... ამაზე არც იმას უფიქრია, ვინც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბევრი "ხალხის"(?) ისტორიული ნაკლი(?) სხვას მიაკერა, და "ტფილისის თავზე წითელი დროშა" ააფრიალა!

ეს, ჩვენი მხრივ, ისე ვაბრალებ(?), ფიგურალურად განვკვეთოვაღებინა(?) ჩვენში დამკვიდრებული ცოდვის ორსახოვნება(?). (ცუდია ხომ?), ფაქტები სხვაა. ფაქტები თითქმის ყველა კონსტიტუციის ანტიპოდად აღიქმება, მაგრამ ერის ცნობიერებისათვის ფაქტებს უპირველესად უნდა გააჩნდეთ განსაკუთრებული წონა და მნიშვნელობა. ქართველი ერისათვის ის, რომ დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესი კანონის - კონსტიტუციის შესაბამისად გამოყენებულ იქნა მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების (შვეიცარია, საფრანგეთი...) გამოცდილება, და შემდგომ, 1921 წლის 21 თებერვალს დამტკიცდა კიდეც. შესაბამისად, დასამახსოვრებელი ფაქტი უნდა იყოს. ანდა ის, რომ აიკრძალა სიკვდილით დასჯა, სასამართლოს განაჩენის გარეშე ვინმე პასუხისგებაში მიეცა(?), ვინც არ უნდა ყოფილიყო, რომ მთავრობის თავმჯდომარე ერთი წლით ირჩეოდა. (შეიძლებოდა მხოლოდ კიდევ ერთხელ არჩევა), შესაბამისად, გასათვალისწინებელი ფაქტი უნდა იყოს. ანდა ის, რომ დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციით აფხაზეთი (სოხუმის ოლქი), მაჰმადიანური საქართველო (ბათუმის ოლქი) და ზაქათალა (საინგილო) საქართველოს განუყოფელ ნაწილებად მტკიცდებოდა, შესაბამისად, გასათვალისწინებელი ფაქტი უნდა იყოს.

ანდა ის, რომ რუსული მინისტრ-მინისტრთა(?) და სამართლის საქმის წარმოება შეიცვალა ქართულით, დაიწყო რუსული სახელწოდებების ქართულით (!) შეცვლა, შესაბამისად, საამაყო ფაქტი უნდა იყოს. ანდა ის, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის იმ არაქართველი მოქალაქეებს, რომლებმაც არ იცოდნენ ქართული ენა, მაგრამ სურდათ სამსახური დარჩენა, უნდა შეესწავლათ ხელნაწერი(?), რისი ძალითაც სამი თვის განსაზღვრული ვადის(?) შეისწავლიდნენ ქართულს, რაც სავალდებულო(?) იქნებოდა საქმის წარმოებისათვის, შესაბამისად, მისაბაძი ფაქტი უნდა იყოს.



როგორ შეიძლება ბევრი(?) აქტიო(?) კაცმა დაწერა(?) ოვანეს კარაპეტის მიერ მიცემულ შეფასებას ქართველ დემოკრატებისათვის: "სათათბიროში ქართველ დეპუტატებს... კარგა ხანია ცნობილი პოზიციები უჭირავთ შეიძინეს გავლენა და ნდობა.

ასე თუ ისე, ქართველებს გააჩნდათ სახელმწიფო(?)... გასაოცრად მომზადებული ადამიანები, რომლებიც დიდი პოლიტიკური პარტიისა და შემდგომ, სათათბიროს მეშვეობით ფლობდნენ გარკვეულ ჩვევებს და პრაქტიკას და სახელმწიფო მოღვაწეთა ტიპს უახლოვდებოდნენ. არც ჩვენ (ე.ი. სომხებს) და არც "მუსავატელებს" ასეთი სკოლა არ გაგვევლო, არ გვქონია ამგვარი მომზადება".

რაღა თქმა უნდა, ჯერ ძნელდება საერთო შეფასება ჩვენი თანამედროვე ქართველი პარლამენტარებისა მაგრამ სურვილი გვძლავს: ერთხელ მათზეც მოგვასმენინა ამგვარი სიტყვები, ეგებ მათზეც ვათქვა მოსკოვს წარგზავნილმა სახელმწიფო მოღვაწეებმა". "უხელწიფოთ"(?) ქვეყანა დაგვიბრუნე ა-თქო.

საქართველოს ე.წ. რევკომის 1921 წლის 16 თებერვლის ლენინისადმი მიმართვა მთავრდება შემდეგი მოწოდებებით: "**Да здравствует Советская Россия! Да здравствует ее великий вождь! Да здравствует Красная Армия!**"

"**Да здравствует ее великий вождь!**"

უმჯობესი არ არის, ლენინს ვულოცხონებს(?) და ისიც, რომ ქართველი რევკომელები "აღტაცებულ სალამს" (წეტა ის აღტაცება დამანახა) უძღვნიან სწორედ მას,' ესეც გასაგებია: მაგრამ აშკარად ერთ ფსიქოლოგიურ წიაღსვლაზე მინდა გავუსვა(?) ხაზი:

დამუშავებული(?) საბჭოთაში ალბათ არ არსებობს წიგნი,' სადაც ლენინი არ იყოს ნახსენები. არც იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემათა იმპერათობაა, რომლებშიც ლენინის (ვალო-დიას) სათნოებასა, ჰუმანურ საწყისებსა და... სიმღერის სიყვარულზე არ იყოს ლაპარაკი. "მარია ალექსანდროვნა განათლებული ქალი იყო. როიალზე უკრავდა და ბავშვებს სიმღერებსაც ასწავლიდა შემოუწყდებოდნენ პატარები გარშემო, მღეროდნენ, მესცქეროდნენ დედას, განსაკუთრებით პატარა ვალო-დიას უბრწყინვლა თვალები". [illegible] ალბათ ცნობი-ლი ეპიზოდია. შეიძლება ვიზუალურადაც წარმოიდგინოთ ეკვე.

შენდობას ვთხოვ ღმერთს და ერთი ანეკდოტის "გმირისა" არ იყოს, გავფრთხე ფეხს და ვიტყვი: "არა მჯერა, არა მჯერა, არა მჯერა!" თუნდაც იმიტომ, რომ ალბათ შეუძლებელია პატარა ვალოდიაში თავი-დანვე არ ყოფილიყო დიქტატორის მცირე საწყისი, ან, სულ მცირე, წვეთის ტოლა მაინც: (გახსოვთ, 8 წლის ცეზარზე რომ თქვა სულამ, ამ ყმაწვილში 12 მარიუ-სი ზის!) შეუძლებელია, ამ საწყისის უქონლად "პატარა ვალოდიას" შექმნა მსოფლიოში უდიდესი იმპერიათაგანი. შეუძლებელია ამ საწყისის გარეშე "პატარა ვალოდიაში" გამჯდარიყო ბელადობის ინს-ტინქტის მოურყევობა და "მეორე" (რის მერე?!) ბელადისათვის ეთქმევინებინა: "ყველამ იცის, რომ მასები იყოფიან კლასებად, რომ კლასებს ჩვეულებრივ და მეტწილად ხელმძღვანელობენ პოლიტიკური პარტიე-ბი, რომ პოლიტიკურ პარტიებს მართავენ... მტკიცე ჯგუფები ყველაზე ავტორიტეტული, გავლენიანი პირე-ბისა, რომელთაც ირჩევენ ყველაზე პასუხსაგებ თანამდებობაზე და რომელთაც ბელადები ეწოდებათ".

შეუძლებელია, ამ საწყისის გარეშე დიდი ლე-ნინი ისე გაშმაგებულიყო, დაეწყო სამოქალაქო ომში წამება, გაუსამართლებლად დახვრეტა, აჩეხვა, ჩამოხრჩობა, ანუ ყველაფერი ის, რაც სამხედრო დანაშაულად ითვლება ომში.

"ყველაზე მეტად კი პატარა ვალოდიას უბრწყი-ნავდა თვალები". კიდევ ერთხელ შენდობას ღმერთ-მა, და მე აქაც დიქტატორის მცირე საწყისის ბა-ვშვობრივ თამაშს ვამჩნევ, როგორც კარდიოგრამა-ზე: თვალების ბრწყინვით კი სხვებს აჯობა!

შეუძლებელია, ზემოთ აღნიშნული საწყისის გა-რეშე, პატარა ვალოდიასა და დიდი ლენინის თვით მის მიერ მუსიკის აღქმა ამგვარად აეხსნა "მუ-სიკის ხშირად მოსმენა არ შემიძლია, ნერვებზე მოქმედებს, ბრიყვული ლაპარაკის გუნებაზე მაყე-ნებს, იმის სურვილს აღმიძრავს, თავზე ხელი გადავუსვა ადამიანებს, ვისაც საზიზღარ, ჯოჯო-ხეთურ პირობებში ასეთი მშვენიერების შექმნა შეუძლია, დღეს კი არავისთვის თავზე ხელის გა-დასმა არ შეიძლება —ხელს მოგაკვეთენ. საჭიროა, თავში ურტყა, შეუბრალებლად სცემო, თუმცა ჩვენი-იდეალის მიხედვით, ყოველგვარი ძალადობის წინა-აღმდეგი ვართ".

1920 წლის 3 დეკემბერს ორჯონიკიძეს მოსკოვი-დან ასეთი შინაარსის დეპეშა მოსდის: "დიდი სიფრთხილით ნაწარმოებ ჯარების ნაწილობრივ შეყ-ვანაზე ნებას ვრთავთ. (**"разрешаю"**)

ჯარების შეყვანა უნდა მოხდეს ფრონტის ან არმიის განკარგულებით, ფრონტისა ან არმიის სა-ხელით და არა მთავრობის სახელით...

**დაიცავი (соблюдай!)** დიდი სიფრთხილე, არცერთი ნაჩქარევი ნაბიჯი არ დაუშვა, შემდეგ **"Втягиваться нам в войну нельзя"**.

თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო დეტალს: ალექსანდრე ანუ ის, ვინც გზავნის დეპეშას, უნდა იყოს კავკასიაში, რუსეთის საბჭოთა მთავრობის პირმა მმართველთაგანი ვინ? ბავშვისთვისაც გასაგებია, რომ ან ლენინი, ან სტალინი, "ანდა ორივე ერთად! დეპეშის დასაწყისში ნათქვამია: "ნებას ვრთავთ".

ანუ ქვეტექსტი ამგვარად უნდა აღვიქვათ. "ლენინი თანახმაა! ხოლო მეგობრულ-ფამილარული "დაიცავი სიფრთხილე!" (**соблюдай!**) უნდა ნიშნავდეს, რომ ლენინისა და სტალინის ნება გაერთიანდა და მოსკოვი სულ მალე იზეიმებდა საქართველოსთვის მიტაცებულ თავისუფლებას.

თუ გახსოვთ, ლენინს აქვს სტატია "გარეშეს რჩევანი". ის, რომ ჩვენი დღევანდელი ეროვნული [illegible] და მოძრაობისთვის ლენინი მართლაც გარეშეა, ეს ცხადია, მაგრამ თვით რჩევებს თუ გადაიკითხავთ, დრომოჭმულად სულაც არ ჩათვლით მეტიც: ერთი პირობა მომეჩვენა, რომ რჩევანი სწორედ ჩვენ გვეკუთვნოდა:

1) არასოდეს არ ეთამაშო აჯანყებას, ხოლო თუ დაიწყებთ, მტკიცედ იცოდეთ, რომ ბოლომდე უნდა მიხვიდეთ.
2) აუცილებელია დააგროვოთ ძალთა დიდი უპირატესო-ბა გადამწყვეტ ადგილას, გადამწყვეტ მომენტში, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მტერი, რომელ-საც უკეთესი მომზადება და ორგანიზაცია აქვს, გაანადგურებს აჯანყებულთ.
3) რაკი აჯანყება დაწყებულია, უნდა იმოქმედოთ უდიდესი გაბედულებით და უეჭველად, უსათუოდ გადახვიდეთ შეტევაზე.
4) უნდა ეცადოთ, მოულოდნელად დაესხათ თავს მტერს, შეარჩიოთ მომენტი, სანამ მისი ჯარები დაქსაქსულია.
5) უნდა ცდილობდეთ, ყოველდღე მიაღწიოთ თუნდაც მცირე წარმატებებს (შეიძლება ითქვას: ყოველ საათს, თუ საქმე ერთ ქალაქს ეხება) და შეინარ-ჩუნოთ, რაც არ უნდა დაჯდეს, "მორალური" უპი-რატესობა".

"ღმერთის სიმართლე ვერ შეიცნეს და ცდილობ-დნენ საკუთარი სიმართლის დადგენას და ღმერთის სიმართლეს არ დაემორჩილნენ" - ღაღადებს სახა-რება.

ქართველი ერისათვის დღეს ერთი რამ სიმარ-თლე და სამართალი არსებობს: მხოლოდ მის მიერ და მისივე მადლით უნდა დავიმკვიდროთ ნავთსაყუ-დარიც, რომლის სახელი კაცთათვის დასაბამიდან ცნობილია - თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა !

გია ჯოხაძე

## შეხვედრა გორში

22 ნოემბერს ქ. გორში დემოკრატ-პედაგოგთა კავშირმა მოაწყო შეხვედრა გორის და გორის რ-ნის ახალგაზრდა პედაგოგებთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა საკითხთა ფართო წრე. მასწავლებლებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს დ.პ.კ.-ს საქმიანობისადმი და მხარი დაუჭირეს მას.

გადაწყდა რომ ყოველ სამშაბათს 4 სთ-ზე დ.პ.კ. დარბაზის წევრი ზესო საბაშვილი გორის რ-ნის პიონერთა სახლში ჩაატარებს შეხვედრებს ადგილობრივ პედაგოგებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული მწერლობა 1927 წ. №1

---

გრიგოლ რობაქიძე

## საქართველოს ბარბაცალი

ნიკოლოზ ჩიხიშვილის წერილის "ფიქრები საქართველოზე"-საპასუხოდ.

მნახეთ ეს სიტყვები.

"თითქოს ვადავიწყებიავ ჩვენს ისტორიას – იქ მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობა – დაცინვაა გარემოებისა ჩვენს თავზე. ჩვენშია ჩაჯდარი ლომი და რწყილი, ეშმაკი და ანგელოზი, ნიჭი და ყიყვი... არის რაღაც შეუგონებელი და გადაყრილი, მიბნეულ-მობნეული. ხერხემალს ქართული იდეისა მე ვერ ვპოულობ და ვერც აზრს საქართველოისას წარსულში".

მნახეთ ეს სიტყვები:

"იქნება საქართველო გაამართლოს ჯვარმა, რომლისთვისაც ის იგლიჯებოდა ყოველი მხრიდან. – მაგრამ ჯვარისაგან ხომ კურთხევა უნდა გამოდიოდეს, და სადაა ეს კურთხევა? ნუთუ ჩვენი აწიოკებული ისტორია კურთხევაა? ნუთუ ორიათასი წლის განმავლობაში ამ ჯვრის ძალმ ვერ შვა მოვლენა, რომელიც გამოარკვევდა საქართველოს, როგორც მოწოდებას, საკუთარის აზრით და დანიშნულებით? – ნუთუ საზიზღრად და სამუდამოდ მოკლებულია საქართველო ის "ნათლის სვეტს", რომელიც წინ მიუძღვის ყოველ ხალხს ახალი სიტყვისა და შემოქმედებისაკენ?!".

თავისმკვლელობაა დასკვნა:

"საქართველო პასსიური მოვლენაა. მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა, მის გარეშე მყოფ მოვლენისაგან. (ენერგია ქვის, როცა მას ფეხს აჭრიდნენ). საკუთარ, შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე, შემოქმედების გენიასაც. მოკლებულია, აქედან გამართლებას, მსოფლიოს გამართლებას, საკუთარ რელიგიას, მოწოდებას, აზრს, შინაარსს".

ამას სწერს ნიკოლოზ ჩიხიშვილი.

არ არის საჭირო არც გაჯავრება და არც აღშფოთება, როცა ასეთ სიტყვებს კითხულობ. არც ის უნდა იფიქრო, რომ ავტორი ბოროტი აზრით არის "აღგზნებული" აქ უფრო "ტკივილია" ვიდრე "აზრი". ეს სულის კრიზისია და ასეთი კრიზისი ბევრს განუცდია.

მხოლოდ არ შეიძლება დავმალო, რომ ეს კრიზისი ბოლომდე არ არის დაწურული თუ ამოწურული. ავტორის "ტკივილში" არის "წყენაც" (აქა-იქ)". სულის "ტკივილს" მაშინ აქვს ნამდვილი სიმართლე, როცა "წაწყენობა" არ არის არავისგან.

მაგრამ ავტორის სულისკვეთებას მე მაინც ვიღებ როგორც "ტკივილს".

არ არის საჭირო არც კამათი. აქ მხოლოდ ჩვენებაა საჭირო (თუ შეჩვენება არა).

შეუძლებელია ამ "ჩვენებაში" ბევრი რამ გადავატარო... როგორც ქართველმა. ამისათვის ვირჩევ სხვა გზას: ვეცდები ისე ვილაპარაკო, თითქო უცხოელი ვიყო. მაშინ ჩემს სიტყვას მეტი სიმართლე ექნება..

წინ ისევ ის წყეული კითხვა მეჭრება: აქვს თუ არა გენია საქართველოს?

ძველად ასეთი საკითხის გადაწყვეტა უფრო ძნელი იყო. დღეს კი ცხადია ... რომ ქვეყანაზე არ ყოფილა ჯერ ... ველური ტომიც კი, რომელსაც თავისი კერპი არ ჰქონოდეს –(დიდი თუ პატარა, ეს მეორე საკითხია) პრიმიტიულ ხალხების დანაწევრებში ჩვენ ხშირად ვხვდებით თევზის თუ მამონტის ძვალს, რომელზედაც ამოჭრილია შველი თუ ნიამორი, და უბრალო დანა ისეთი არტისტიზმით, რომელსაც სასახელოდ ჩათვლიდა ჩვენი დროის დიდი ხელოვანი თვითონ რომ ეკუთვნოდეს იგი. დღეს "ველურებსაც" ენაფებიან: ქვისაგან თუ ხისაგან გამოჭრილ აფრიკის კერპებს გამოფენებში მოჰყავთ ამღერილი ხელოვანნი.

კიდევ უფრო ყურადსაღები მოვლენაა. ზანგებს ნიავალი თეორეტიკოსნი, ადამიანადაც არ თვლის. მაგრამ ზანგების რიტმებმა დაიპყრეს დღევანდელი ევროპა. ეს რიტმები შეიჭრნენ სიმფონიურ ჟანრშიაც. მოდიან რიტმები, როგორც მზის თვალები ვარდნის პირველ დღეებში. აღბად აქ არის პუშკინის საიდუმლო (პუშკინიც ხომ ზანგი იყო სისხლით). მოვა დრო (არც ისე შორსაა), როცა რომელიმე ავტორი პუშკინის ჯადოსნობას ზანგების აფრიკის რიტმებიდან გამოიყვანს. (ეს –სხვათა შორის)

და თუ პრიმიტიულ ხალხებს და თანადროულ "ველურებს" ვანიჭებთ გენიას, დავიჯერო, რომ საქართველოს აკლდა ასეთი მადლი?

მაგრამ ეს არაფერი.

საქართველოს გენია სხვა მასშტაბითაცაა გამართული.

ჩიხიშვილი საქართველოში "ღვთის ხელს ვერ ნახულობს". "ღვთის ხელი" აქ მეტაფორული თქმაა და მეც ამ სახით ვიხმარ მას. მართლაც არ არის "ღვთის ხელი" საქართველოში?

რა არის მაშ "ქართლის ცხოვრება".

მე ვლაპარაკობ სერიოზულად და ჩემი თქმა არ არის "ფრაზა". მთელს ქვეყანაზე ძვირად მოიპოვება სადარი "ქართლის ცხოვრების". ეს არის არა მარტო "ისტორია", არამედ ნამდვილი "ეპოსი" –(დიდი ეპოსი დიდი ხალხის). და იშვიათია ისეთი პოემა (არა მარტო ჩვენში), რომელსაც შეეძლოს დაუპირისპირდეს ამ მხრივ "ქართლის ცხოვრებას". აქ ყოველი სიტყვა თითქო მითოლოგიური ტაძრის შიგნ არის დაწერილი. და თავი და თავი: სიტყვასა და სიტყვას შუა დარჩენილა უთქმელი, რომელსაც სიტყვა არ სჭირდება და რომელსაც ისმენთ მხოლოდ. აქ არის "სურნელი" გადასული ხანების – (ნამდვილი ნიშანი გენიის) როგორც ბერძნების "ილიადაში" და როგორც ბაბილონელების "გილგამეშში!". ვეკითხებით მე თქვენ: ნუთუ "ქართლის ცხოვრების" ანნალები გენიის ცეცხლის ნაკვესები არ არიან?

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა.

"ქართლის ცხოვრება" დიდია როგორც "ეპოსი", მაგრამ უფრო საოცარია იგი როგორც "ისტორია".

და მართლაც "ისტორია" არ არის უბრალო გროვა ამბების. კაცი ცხოვრობს, ჭამს სვამს, ცოლს ირთავს, სახლს შეიმართავს, ეს აინტერესებს, იმას ყურადღებას აქცევს, შემდეგ კვდება, ქრება – ეს კიდევ არ არის "ისტორია". "ისტორია" არის "მთელის" გზნება თითქო ყოველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი კუნძი ნაწილია ამ მთელის, რომლის ცენტრი შენს გარეშეა -(ერთი მწერლის ფრაზა რომ ვიხმა-რო სხვა საგანზე თქმული). "ისტორია" პირადი განცდაა. ამბავი მომხდარი ათას წელს უკან - თითქო შენი საკუთარი ამბავია, და შენი საკუ-თარი ამბავი, მომხდარი ეხლა - თითქო მორეუ-ლი ამბავია შენი ხალხის. პლატონის ვერიალური თქმა რომ ვიხმაროთ, "ისტორია" არის "მოგონე-ბა" (ანამნეზის). ნაროდის იტყვის ამერიკელი გერმანელი ავტორი. "წარსული მისი (ადამიანის) ხალხის მისი პიროვნული ხსოვნაა, ხოლო მომავალი მისი ხალხის - მისი პიროვნული საქმეა" (მარ-ტინ ბუბერ). დიახ: "ისტორია" ქმედითი ხსოვნაა.

დააკვირდით ეხლა "ქართლის ცხოვრებას" - არის თუ არა მასში ასე-გაგებული "ისტორია". - უთუოდ და უეჭველად. ასეთი გზნება "ისტორიი-სა" აქვთ მემატიანეებს (უფრო ვიდრე რომელიმე სხვა ხალხს). ასეთი გზნება "ისტორიისა" აქვთ ქართველებს. და ეს გზნება გაღვივებულია "ქარ-თლის ცხოვრებაში". ამ გზნებით არის იგი ამწვარი მთელი თავისი ტანით. და ის სიტყვასა და სიტყვას შუა დარჩენილი "სვრელი", რომელ-საც სიტყვა ვერ სწვდება და რომელსაც ყნოსავ მხოლოდ, არის სწორედ ეს ისტორიული გზნება: "ისტორია", როგორც ქმედითი ხსოვა, "ისტორია", როგორც გზნება "მთელის" რომლის ცენტრი შენს გარეშეა.

ასეთია "ქართლის ცხოვრება".

უცებ "გამოხედვად" გინდათ დაინახოთ "ქარ-თლის ცხოვრებიდან".

აი თუ გინდ ერთიც. ევროპაში თავი მოსწონთ მარკ ავრელით, რომელიც ომშიაც "ჭვრეტდა" სამყაროს. ჩვენში დავით აღმაშენებელი ომის დროს "სამოთქულის" კითხულობდა - (ეს ზნე კინაღამ საბედისწერო გახდა მისთვის). ვეკით-ხებით: რით ჩამოუვარდება დავით აღმაშენებე-ლი მარკ ავრელის?

ან კიდევ სხვა. ევროპაში ლეგენდადაა გადაქ-ცეული "კალეს მოქალაქეთა" რაინდობა. როდენმა ქვაც კი აამეტყველა მათი რაინდობით. ჩვენში - ასეთი მონუმენტალი სურათი: მონღოლთა ნოინნი სჯიან ქართველ შეთქმულებს. მათთან მიდის მა-ღალი და ნათელი კაცი: დადიანი ცოტნე, იგიც შეთქმულთაგანია, მაგრამ არ დაუჭერიათ (სხვა-გან იყო). ცოტნე ამცნევს ნოინებს, რომ მისი ნდომაა - შეთქმულთა ბედი გაიზიაროს, რადგან იგიც შეთქმულია. მონღოლებს უკვირთ ასეთი სიმართლე ქართველების - და შეთქმულებს ათა-ვისუფლებენ. რით არის ეს ამბავი ნაკლები "კა-ლეს მოქალაქეთა" ამბავთან შედარებით? არაფრით: შესაძლებელია მეტიც იყოს.

ჩვენში აქა იქ გაისმის ხმა, თითქო ქართვე-ლობაში **შინაგანი** სიმართლე არ იყოს, რა არის ცოტნე დადიანის ამბავი თუ არა შინაგანი სი-მართლე? და რამდენია ასეთი სიმართლე "ქართლის ცხოვრების" ანწალებში. მარტო სარგის ჯაყელი ციხისჯვარელი რად ღირს! და რამდენი კიდევ სხვა. მაგრამ აქ უნდა შევჩერდე, რადგან მა-გალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა.

ნიკოლოზ მიწიშვილი სწერს:

"ორიათასი წლის განმავლობაში მე ვერ ვხე-დავ ამას და მეეჭვება თვით რუსთაველიც: თუ ის ჩვენი ცხოვრებისაგანაა - უსათუოდ გაუგებრო-ბაა ის: თუ არა და - ან რუსთაველი არაა ქარ-თველი, ანდა მისი პოემა ადვილად ნაშოვნი საქმეა".

კიდევ კარგი, რომ ავტორს "ვეფხისტყაოსა-ნი" გენიალ ქმნილებად მიაჩნია. მხოლოდ - რო-გორც ჩვენი ცხოვრების ნაყოფი - იგი მისთვის "გაუგებრობაა" უკეთეს შემთხვევაში. უარეს შემთხვევაში? ან რუსთაველი არაა ქართველი, ან და მისი ქმნილება "ნაშოვნი" საქმეა და ისიც "ადვილი".

აქ კი ავტორი "დისკუსიას" მიმართავს და ჩემი სიტყვა ცოტა სხვანაირი იქნება.

ნუ თუ ავტორს ჰგონია, რომ რუსთაველით ამოიწურება ქართული გენია? (ამაზე სხვაგანაც ჰგონია). 1902 წ. ნიკო მარრმა იერუსალიმში იპო-ვა ხელნაწერი "ცხოვრება წმ. გრიგოლ ხანძთელის". ავტორი გიორგი მერჩულე.

გამოდის: მეოცე საუკუნის თაურამდე არავინ იცოდა, თუ რა საუნჯე ჰქონიათ ქართველებს. ქმნი-ლება ეკუთვნის მეათე საუკუნის ნახევარს. შე-მეტია იმის მტკიცება, რომ ეს ქმნილება ქართული გენიის ხალასი ნაყოფია. ქართული სიტყვა აქ მიყვანილია ისე, თითქო პირველქმნას რძე სდიოდეს კვლავ ძუძუებიდან. თქმა-მოკლე: ნაკვეთი. სიტყ-ვა - თითქო მედედებული სუბსტანციაა, რომელიც წარ-მოთქმის შემდეგ იშლება, როგორც მდინარის სარკე-ლი ზედაპირი, როცა ფრთებ გაშლილი გავაზი დაევლე-ბა მას. არაჩვეული ხორცხეტი, არაჩვეული მეჩე-ჭი. სიტყვა ისეთი, რომელსაც აქვს ქალწული დარცხვენა და ამავე დროს მოკრძალების შემართება: სწორედ ისეთი, რომლითაც ძველად წინაპარს ჰქონი-დეს. არც გასაკვირია: გიორგი მერჩულეს ჰყავდა წინამორბედი - იაკობ ხუცესი (მეხუთე საუკუნე). რომელმაც გასაოცარი აღწერა დაგვიტოვა "წმინდა შუშანიკის" ცხოვრებისა. გიორგი მერჩულემ, ცხა-დია, ქართული "საგალობლებიც" იცოდა, სადაც ქარ-თველი ავტორები ფსალმუნობაში დავით წინასწარ-მეტყველს ედავებიან.

მაგრამ ამით არ ამოიწურება მერჩულის ქმნი-ლება. აქ არ არის მოცემული ჩვეული აღწერა ჩვეული წმინდანის, სადაც სიცოცხლე მლაშეა და - წუთხე. აქ მთელი მსოფლგზნებაა - სრულიად თავის-სებური. გრიგოლ ხანძთელი -(მერჩულის აღწერით) - ისე დადის დედამიწაზე, თითქო უკანასკნელი სიმინდის ჯავრი იყოს, რომელიც დატკბობას ელის. მიწა მისთვის არ არის "ბერწი". პირიქით: მისი ყოველი ნაყოფი "წყაროს თვალია", რომელსაც მოაქვს ბუნების მადლი.

ამის შემდეგ რასაკვირველია, რუსთაველი ალარ არის გაუგებრობა".

მაგრამ რუსთაველამდე კიდევ იყვნენ სხვებიც. რომელთაც ქართულ სიტყვაში გენია გააღვიძეს. ექვთიმე მთაწმიდელი, იოანე მთაწმიდელი, გიორგი მთაწმიდელი, ეფრემ მცირე. თითოეულს მათგანს ცალკე მონოგრაფია სჭირდება. თუ გერმანელები ლუ-ტერის "ბიბლიის" გერმანულად თარგმნისათვის გენია-ლობას ანიჭებენ, რა დააშავეს ჩამოთვლილმა ბერებმა, რომლებმაც იგივე "ბიბლია" ქართულად სთარგმნეს. და მერე როგორ? ლუტერის თარგმანი თუ არის ენის-ქმნა, მთაწმინდელების თარგმანიც ენის-ქმნაა ნამდვილი. თუ. რომელი უფრო მძაფრი ქმნაა, ეს კიდევ სადაოა.

ასეთია მაგისტრალი, რომლის ბოლოს რუსთაველი მოსჩანს, როგორც დამთავრება და როგორც ასეთი -

ჩარდახან როგორც გადაბრაც (ლენაკა დეკადანსი).
ამის შემდეგ რა აზრი აქვს ასეთ დილემას: "ან
რუსთაველი არაა ქართველი, ან და მისი პოემა აღ-
ვილად ნათრევი საქმეა?".

რუსთაველი ქართველია და მის პოემას ეძლევა
სიტყვის კულტურა ეპოქის წინ. რასაკვირველია,
"ადვილად მოენაზე" ლაპარაკი ამ კულტურის არცოდ-
ნაა. (წაიკითხე ნარცისა პოლიტიკური სიტყვა).

კიდევ სხვა მაგალითი.

მწელი ლაპარაკი ეპოქა ამაყობს ფრანსის ასი-
ზელით. ფრანსის ასიზელს დარჩა იგი სტრიქონი. ამ
სტრიქონებიდან იტალიელებს განიაქვთ მწელი იტა-
ლიური პოეზია, განსაკუთრებით უყვარს ეს სტრიქო-
ნები დ'ანუნციოს. რასაკვირველია, მარტო ამ იგი
სტრიქონისათვის არ არის ფრანსის ასიზელი საოცა-
რი, იგი მაჟორია და თან გმირი. იგი "რიგის
ველია" ვალისული და ყოვლობს რიგის ველით. იგი
მღვდელის ძალიან მწიკვლი და რაცხი დამჯერებელი.
(მთლი არა სალიდობით).

საკმარისია აქ წერტილი დავსვა, რომ ქართველ-
მა იმავე ხანს მისდია ვაიხსენის. და მართლაც:
ნინოია იგივე ფრანსის ასიზელია, ბრძოლით საქარ-
თველოს მთებში აღმოჩენებული, როგორც იშვიათი
ყვავილი ალპების. განა მისდიას მითოსი გვერდი
არ არის ეჭვიანი? განა აქ არა სხვას "ღვთის ბე-
ლი"?

კიდევ ერთი მაგალითი.

კათოლიკური ეპოქა თავის თავს აღმოსავლეთ
ქრისტიანობას ეპირისპირებს. აღმოსავლეთ ქრის-
ტიანობაში მარტო კანდვრობაა და ლოცვა. თითქო
აქ "მინდა" არც არის, დასავლეთ ქრისტიანობამ
აღადგინა "მინდა". იქ "ღვთის საქმე" თითქო
"მინიტერ" სწეულ ილებს. აქედან — გოთიკა, მა-
დონნა, მარიამ ქალწულობის კულტი, ვადასული
"მარიამ ქალწულის" გზნებაში.

ფაქტია, დღეს ეს მეეხისათვის "ვადასული
ამბავია". მაგრამ ყოველი ნაწილი კულტურისა
"გადასული ამბავია" — და მე მხოლოდ კულტურის
მხრით მაინტერესებს ეს "ამბავები".

საქართველომ შექმნა "ჯვარი ვაზის" ჯვარი-
არც ბიზანტიკან, არც ქვისაგან, არც რკინისაგან.
რატომ მაინც და მაინც ვაზის ნასხლევისაგან?
ალბად იმისათვის, რომ ვაზი სახეა "მიწის" ნაყოფ-
იერების და ნაყოფიერების. ეს კიდევ არაფერი. ჯვა-
რი ვაზის შეკრულია ქალის თმებით — (ლეგენდარულ
გადმოცემით, ლეგიონის, ან თვით ნინოსი)
აქ "მარადი ქალწულობა", ან "მარადი ქალურობა"
ისევ ისეთივე სიმძაფრით არის მოცემული,
კათოლიკურ ეპოქას ასეთი რამ არ გააჩნია. ეს
არ არის გადამეტება.

ასეთია საქართველო და მისი გენია.

საუკუნეთა სიღრმეში მეორდება "ოქროს
ვერძის" ამბავი და მედეას ლეგენდა და არგონავ-
ტები ჯერ კიდევ არ სჭირდებიან.

იმისათვის, რომ ყველამ იცოდეს საქართველო-
ლო, არქანჯელო ლამბერტი, პიეტრო დელა -ვალე,
შარდენ — მოდიან საქართველოსაკენ, როგორც
მზის მადეში გაკვალულ დელფოსაკენ. დიუმას
ფრანგული სიტყვები აღარ ჰყოფნის საქართველოს
ქებისათვის.

მაგალითები სხვაც ბევრია.

ხოლო ერთი საბედამო დერზად სწირს ამ მხიბ-
ლაობას.

პიეტრო დელა-ვალეს ეუბნებიან, რომ ისპა-
ჰანში ულამაზესი ქალია ქართველი ("მაჰრი"
ალბათ "მანანა"). ვაჟები ამ ქალისაკენ.
გაიცნობს ამ ქალს. შეუყვარდება. შეირთავს.
რაინდი მათ-ამბავს ეახლოვდება. ჰსურს- ისპაჰა-
ნისაკენ შექმნას ახალი რომი აღმოსავლეთში.
შემდეგ, უეცრად სამშობლოს ნაღველი აუტყდება.
გაემგზავრება- ცოლით. თან მიჰყავს ქართველი გო-
გონა "მარუკია". გზაზე ცოლს საშინელი ხაშმი
შეეყრება. ცოლი არც იმჩნევს ავადობას, ისე
მძლე აქვს რასსის გრძნობა. "მაარი" კვდება.
რაინდი ბერდება. მიაქვს ცხედარი რომში და
იქ ასაფლავებს. შეირთავს "მარუკიას", რომელიც
ამიერიდან იწოდების "თინათინ ზედა".

ამ ამბავს მოგვითხრობს — (იცით ვინ?) —
თვითონ გოეტე. ერთი წმიდათაგანი, თუ ცრიათაგა-
ნი შორილია შორის. მოგვითხრობს, როგორ? სიტყვა-
სა და სიტყვას შუა სტოვებს სურნელს ქართველი
ქალის აღტაცებისას.

და როცა თვითონ მისი მაგვედან გადმოკარგება
ქართული ნათელი სახელი "თინათინ" — ნუთუ ვინ
არ იგრძნობს საქართველოს მადლს?

—○—

## ეს ერთი და სხვა მრავალი

"ჭეშმარიტად საინტერესო დროში ვცხოვრობთ" —
ეს ფრაზი ამეკვიატა გუშინდელის მერე. გუშინ,
16 ნოემბერს კი მეტად საინტერესო მოვლენის მოწ-
მენი გავხდით. ქ. თბილისის 160-ე საშ. სკოლა-
ში (გლდანის რ-ნი, მეტრო "სანდრო ახმეტელთან")
გაიმართა აქ არსებული "პატრიოტ მოსწავლეთა
კავშირის" მიტინგი, რომელიც შექმნა აქვე
არსებული სადისკუსიო კლუბის ბაზაზე. მისი მი-
ზანია სკოლაში კომკავშირის, პიონერის და
ოქტომბრელთა ორგანიზაციების სრული ლიკვიდაცია,
მოსწავლეთა და პატრიოტ მასწავლებელთა ინტე-
რესების დაცვა, ქართული ეროვნული სკოლის შექმ-
ნაში თავისი წვლილის შეტანა. მრავალი "მონწყინ-
ვალე" აზრი გამოითქვა იმ დღეს საბჭოურ სო-
ციალიზმზე, მარქსისტულ იდეოლოგიაზე, კომკავშირ-
ზე და სხვა მავნებელ მოვლენებზე. მოსწავლეები
გამოდიოდნენ ემოციურად და რაც მთავარია საქ-
მის ცოდნით. ყმაწვილებს მიესალმნენ და გზა -
დაულოცეს მასწავლებლებმა, საზოგადოებრივ-პო-
ლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა.
გაგაცნობთ "პატრიოტ მოსწავლეთა კავშირის"
ხელმძღვანელ ძალას. მთავარი კომიტეტი: მინდია
მეშანაშვილი (XI კლასი), ხათუნა ახვერდაშვილი
(XI კლ.), ნატია ნატროშვილი (X კლ.), ზაზა
მჭავია (X კლ.). მრჩეველთა კომიტეტი: ამ
სკოლის კურსდამთავრებულნი პაატა შარაშენიძე
(სტუ, I კურსი), თემურ ჯოჯუა (აბიტურიენტი),
პრეს-ცენტრის რედაქტორი — მირიან მასილია (XI).

მიტინგს ესწრებოდნენ და ფრიად დაბნეუ-
ლად გამოიყურებოდნენ კომკავშირული ფუნქციონე-
რები "დიდ-დიდნი" და სხვა ოფიციალური უწყე-
ბათა წარმომადგენლები.

გია გოდერძიშვილი

17/XI-89 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მერაბ კოსტავას ხსოვნას!

იყო დიდი ადამიანი ძნელია. ღვთისგან ბოძებული ნიჭის გარდა, ბედის ღიმილიც სჭირდება, მაგრამ ზედრად უფრო ძნელია შენი სიდიდე სიდიადესთან იყოს გაზავებული და ორივე ერთმანეთში გადახლართული სიწმინდის მშვენებით იყოს წარმოჩენილი. ბედის ღიმილი თავში ვახსენე. ბედის ღიმილის რა მოგახსენოთ და ამქვეყნიური ცხოვრების ჟლეტილი კი ნამდვილად შეუგრძვნია ქართული სინამდვილის ჭეშმარიტად მშვენიერ სახის რაინდს. გახსოვს მასთან პირველი შეხვედრა გასული წლის 22 სექტემბერს უნივერსიტეტის ეზოში. მის მიერ წარმოთქმული თამამი სიტყვა, რომელიც უხეშობის და უძრაობის წლებში დაგროვილ კუნაპეტ სიბნელეში ვარსკვლავ ნათელ ციაგს ჰგავდა. მახსოვს შეხვედრა უკანასკნელიც, რამოდენიმე დღის წინ. ისევ ისეთი მხნე, ისევ ისეთი შეუდრეკელი, ვინ იფიქრებდა, რომ ბედისწერა კიდევ ერთ ტრაგედიას უმზადებდა საქართველოს. დასტირის სრულიად საქართველო ცხედარს ქართლოსის ჭეშმარიტი შთამომავლისას, ლოცულობს სრულიად საქართველო სულისთვის ჭეშმარიტი ქრისტიანობისა.

რამოდენიმე დღის წინ ივერიის ღვთისმშობლის ხატი ჩამოასვენეს საქართველოში. რამოდენიმე დღის წინ სული მისი წარუძღვნა საუკუნო სასუფეველში. თითქოს სიმბოლურია, თითქოს კანონზომიერიცაა – არ ესვენა საქართველოში ხატი ივერიის ღვთისმშობლისა, მაგრამ იყო ჭეშმარიტად წამებული ივერიისათვის. მოევლინა საქართველოს ხატი – ივერთ ზეაღსვლისათვის და მიიბარა სული მისი უზენაესმა, დიდების შარავანდედით შემკობილი.

დიად ადამიანთა ცხოვრებაში ყოველივე ამაღლებულია.

კახა ბრეკიშვილი

## მ ე რ ა ბ  კ ო ს ტ ა ვ ა ს

ეჰ, შავი ჩოხა შენც დაგხატავდა,
არც შავლეგოზედ იყავ ნაკლები.
მას გვერდით ედგა მთლად საქართველო
შენ კი არ გყავდა ბევრი გამგები.
თუმცა გამოცდა შენ მწარე გერგო
ლომთა მოდგმისავ არსად დაეცი
თუ კი გებადა რამ გასაცემი
სუყველაფერი უხვად გაეცი.
ვინ გაგიმეტავს შენ სიღარიბეს
/სახლი თუ გედგა ასე მიშველთ/
სააქაოში ქართველის გულს ფლობდი,
საიქიოში ღმერთი გიშველის.
მშვიდობით ძმაო, თუმცა სიმშვიდეს
შენსას საფლავშიც ვერავინ იპოვის
სანამ ნავარდობს ბილწი სიცრუე
და ხმა გაისმის ნამუსის დრტვინვის
საქართველოსთვის ცოცხლობდი მხოლოდ
და ვგრძნობ, რომ გული კუბოშიც გეწვის
კომუნისტების კისერზედ იყოს
შენი ჭაღარის ყოველი ბეწვი.

გ. ერაძე

## სამგლოვიარო მიტინგი

21 ნოემბერს შესრულდა 40 დღე საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ტრაგიკული დაღუპვიდან. რუსთაველის ძეგლთან დღის 2 საათზე შეიკრიბნენ ქართველი პატრიოტები შავი დროშებით და ბაირაღებით.

სამგლოვიარო პროცესია გაემართა მთაწმინდის პანთეონისკენ, სადაც განისვენებს მერაბ კოსტავა.

სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ზვიად გამსახურდია, ირაკლი წერეთელი და სხვები.

## დემოკრატ პედაგოგთა კავშირი იწვევს სათანამშრომლოდ

1988 წლის 26 მაისს ქართული საზოგადოებრიობის ჭეშმარიტად პატრიოტულმა ძალებმა აღნიშნეს საქართველოს თავისუფლების თარიღი, ხოლო სექტემბრის თვეში პირველად ჩვენი თაობის ისტორიაში, დავით-გარეჯას კომპლექსის გადარჩენის მიზნით მოეწყო მძლავრი აქცია და ასე საფუძველი დაუდო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის დასაწყისს საქართველოში, რომელშიც მთავარი დასაყრდენი იყო სტუდენტობა და გამონაკლისს არც ჩვენი ინსტიტუტის ძალები წარმოადგენდნენ. ინსტიტუტის საზოგადოებრივ აქტივობას განსაზღვრავდა სტუდენტთა ერთი ჯგუფი, ე.წ. არაფორმალურ გაერთიანებათა წევრები. პოლიტიკური სიტუაციის შეცვლასთან დაკავშირებით, აუცილებელი შეიქმნა ამ ჯგუფის ორგანიზაციული გაერთიანება და 1989 წლის თებერვალში გამოცხადდა "დემოკრატ-პედაგოგთა კავშირის" შექმნა. პირველ დიდ გამოცდას კავშირმა კარგად გაართვა თავი (მხედველობაში გვაქვს აპრილის 5-დან 9 აპრილამდე, როდესაც ინსტიტუტს ფაქტიურად "დ.პ.კ." მართავდა).

"დ.პ.კ." თავის რიგებში აერთიანებს პრაქტიკოს მასწავლებლებსაც.

"დ.პ.კ." იღწვის განათლების სისტემის რეორგანიზაციისათვის, მისი სრული დეცენტრალიზაციის და დეიდეოლოგიზაციისათვის. ამავე დროს ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ეს მიზანი ვერ განხორციელდება თუ არ მოხდა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის შეცვლა და ამიტომ აქტიურად მონაწილეობს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

დემოკრატ პედაგოგთა კავშირი მოუწოდებს ყველა ქართველს დასტოვონ კომკავშირისა და კომუნისტური პარტიის რიგები. დღევანდელ დღეს ამ ორგანიზაციებში ყოფნა მიგვაჩნია ერის ღალატად.

ასევე მოვუწოდებთ ყველა ქართველს ჩააბარონ საოკუპაციო ჯარებში ყოფნის მოწმობა, ე.წ. სამხედრო ბილეთი. ამით ჩვენ უარს ვიტყვით საჯარის სამსახურზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 13-დან 19 ნოემბრამდე

იმ "თავისუფლებას", რომელსაც სტუდენტთა საკავშირო ფორუმი უწოდეს მისმა ორგანიზატორებმა, (ერთი მაგალითი ვუჩვენოთ საკავშირო ფ-ია!) სამოთხეც დიახაც ელოდა. მიზეზი: კომკავშირის უმაღლესი სკოლის შერჩეული აუდიტორიის ახლოვებისა ჩვენთვის, ბალტიისპირეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელორუსიის რესპუბლიკათა დელეგატებისთვის იმთავითვე გადაწყდა.

ფორუმის მოსამზადებელი კომიტეტს წინასწარვე მიუთითებია, რომ ფორუმის მუშაობის შედეგად უნდა შექმნილიყო სტუდენტთა საკავშირო (!) საბჭო. კიდევ: ერთი მაკოორდინირებელი დოქუმენტური ორგანოს შექმნა ფორუმში კიდევ ერთ ყულფში თავის გაყოფის ტოლფასად აღვიქვით ჩვენ და ზემოთჩამოთვლილმა დელეგატებმა.

მონაწილეობის მიღება საჭიროდ ჩავთვალეთ იმის გამო, რომ შესაბამისი ფაქტები მიგვეწოდებინა ფორუმის "მორჩილი" და "მოაზროვნე" უმრავლესობისათვის.

პოზიცია: უპირველესად, იმ საკითხების გაშუქება, რომელიც აღელვებს ქართველ ახალგაზრდობას: საქართველოს ანექსია (1921 წ.), სიტუაცია აფხაზეთსა და ოსეთში, სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმა, კონსტიტუციის მე-6 და მე-7 პუნქტების გაუქმება, ეროვნებათაშორის ენად რუსულის დამკვიდრებისადმი საწინააღმდეგო გამოსვლა, პოლიტიკური სიტუაციის მშვიდობიანად მოგვარება, ყოველგვარ ძალადობაზე უარის თქმა და სხვ.

ფორუმის პლენარულ სხდომაზე გორბაჩოვის გამოსვლა მორჩილმა უმრავლესობამ ბუნებრივად აღიქვა. ეს არც იყო გამოსვლა. ეს იყო ლექცია "პერესტროიკის" ყოვლისმომცველობის შესახებ. შეკითხვაზე: თუ რატომ იგვიანებს "პერესტროიკით" დაპირებული მადლი და ბარაქა, გორბაჩოვმა უპასუხა, რომ პარტია და ხალხი არ იყო მზად ამისათვის.

სადისკუსიო ჯგუფში "სტუდენტები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა" შეიქმნა პოლიტიკური დეკლარაციის შემმუშავებელი სარედაქციო კომისია, რომლის წევრადაც ამირჩიეს.

ფორუმის ორგანიზატორებმა რამდენჯერმე მოინდომეს პოლიტიკური დეკლარაციის "ჩაგდება", ჩვენი წინააღმდეგ დელეგატების ინსპირაცია. ეს მათ ნაწილობრივ მოახერხეს კიდეც. განხილვისას რუსულის ეროვნებათაშორის ენად დამკვიდრების საწინააღმდეგო და ეროვნული საჯარისო ფორმირებების ამსახველი პუნქტები ფორუმმა ბარბაროსული ყვირილით, სტვენით და სკანდირებით მიიღო. ჩვენმა "კოალიციამ" სხვადასხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებმა გადავწყვიტეთ დაგვეტოვებინა დასკვნითი სხდომა.

გია ჯორბაძე

### სისხლის ბილიკი

მობილწო დიდგორს, მობილწო ალაზანს,
ოო, ქართველებო, ოო ქართველებო
აპრილის ღამეს, მშფოთვარე ღამეს
სისხლით მონათლულ მგლის ლეკვებო,

მიდიოდი სამოცდარვა წელიწადი,
და ელაზნო ჯვამშვილიდ ვრცელია
მიდიოდა და აპრილის ოაზისში
ვაზის წიწლა ცრემლი ჩამოდენილა,

შეგვარცხვენეს გაუტეხელი ქართველობა,
ქალწულთან თვითონ ცრემლიც გოდებდა
თქვენ დაეცით ჯვაროსნების სამსხვერპლოსთან
და მამულის მწუხარება მოგდევდათ.

[illegible]
ჩვენი მტკვარი და მშფოთვარე რიონი
საქართველო სისხლის ცრემლით იღვიძებდა
და ენათლავდა მძღვრი სისხლის მორევით.

მურაზ ჯაფარიძე

### რუსეთი დომინანტის სამეფოთმობან

ნაწყვეტი პ. ი. კოვალევის "რუსსკაია ოკრაინა-დან" - ს.-პეტერბურგი 1906 წ. გვ. 48

I) Решительно покорить все народы, живущие, к северу от границы, имеющей быть протянутою от между Россией и Персией, а равно и Турцией, в том числе и приморскую часть, ныне Турции принадлежащую; 2) разделить все кавказские народы на два разряда: мирные и буйные.- Первых оставить в их жилищах и дать им российское правление и устройство, а вторых- силою переселить во внутренность России, раздробив их малыми количествами по всем русским волостям; 3) завести в Кавказской земле русские селения и всем русским переселенцам раздать все земли, отнятые у прежних буйных жителей, дабы всемъ способом изгладить на Кавказе даже все признаки прежних (т.е. теперешних) его обитателей и обратить сей край в спокойную и благоустроенную область русскую.

რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ეს ფაქტი ალბათ დღესაც ბევრს აწუხებს რუსეთში.

ვაი ეროსავით!

რედაქცია დიდ მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის გამოცემისათვის შემოსაწირი გაიღო.

რედაქტორი: ბესო საბაშვილი. რედკოლეგია: კარლო ბართაველიძე, კახა ბრეკაშვილი, გოჩა გუგუშვილი, გია გოდერძიშვილი.

რედაქცია ზოგჯერ შეიძლება არ ეთანხმებოდეს ავტორის აზრს

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 32 ტექ. კლუბი.